პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 5 კაპ.

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

**რედაქცია**
თბილისი, კაშუს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მიღებაა პარასკევს შეიქლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ. ) რედაქტორის 14—36
) მდივნის 10—56

**მთავარი კანტორა**
თბილისი რუსთაველის პრ. № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მეფა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მიწაუფლების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საგანგებო გადასახადს. თუ განცხადება ბეჭდება ბოლოგვერდზე ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიციაში მოთავსებულია ყაზბეგის ქ. № 68, ტელ. 5—43


## საერთაშორისო წითელი დღე

ეროვნული
[illegible]

## იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ

# გაუმარჯოს კომინტერნს--მსოფლიო პროლეტარიატის შტაბს ომის წინააღმდეგ ბრძოლაში


ხუთშაბათი, 1 აგვისტო 1929 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 174 (2520)


## იმპერიალიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ

**(საერთაშორისო წითელი დღისათვის).**

დღეს, პირველ აგვისტოს, საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი გამოვა აშკარად თავისი უდრეკი ნებისყოფის სადემონსტრაციოთ იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ, რომლებსაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ამზადებენ სოციალ-დემოკრატების აქტიური დახმარებით. და ეს დემონსტრაცია იქნება ერთ და იმავე დროს როგორც ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების, რევოლიუციონური ფრონტის გენერალური დათვალიერება, მისი შემოწმება სუსტი და ძლიერი ადგილების გამორკვევის მიზნით, ისე „გენერალური რეპეტიცია“ იმ ოპერაციების მოსამზადებლად და გასატარებლად, რომლებსაც უნდა უხელმძღვანელოს კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მომავალი ომის გამოცხადების წინ და მის პროცესში, რათა შეარყიოს „ზურგი“ სამხედრო ფრონტების, დაშალოს ეს ფრონტები და გადააქციოს ომი იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ან ამ ქვეყნების კონტრ-რევოლიუციონური ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამოქალაქო ომად და მოთათფლობელთა სამყაროს დასანგრევად. მსოფლიო იმპერიალიზმი, თავისი თვალსაზრისით, საღ შეფასებას აძლევს ამიტომ დღევანდელ დღეს. მას კარგად აქვს შეგნებული მისი მნიშვნელობა და სწორედ ამიტომ არის, რომ დღიდან კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესის მიერ გამოტანილი დადგენილებისა საერთაშორისო დღის მოწყობის შესახებ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქ. ბრიუსელში მომხდარმა კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების თათბირმა დანშნა ეს დღე პირველ აგვისტოს და მთელი კომინტერნი შეუდგა მის მზადებას, საერთაშორისო ბურჟუაზიაც შეუდგა ბრძოლას მის წინააღმდეგ, მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს, დაწყებული სახელმწიფო-პოლიციური იძულებითი აპარატიდან და გათავებული სოციალ- და პრო ფ - ფაშისტური ბიურო კრატიით, რომელიც წარმოადგენს დღეს კაპიტალისტური წესწყობილების უძლიერეს ბურჯსა და დასაყრდენს მუშათა კლასში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცეან, ამ მზადებამ და ბრძოლამ პოლიციურ და სოციალ-პოლიციურ დამსჯელი ზომებით პირველი აგვისტოს წინაღამდეგ თავის მწვერვალს მიაღწია ამ უკანასკნელად ყველა ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით იმ დიდ ცენტრებში, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო რეაქციის სატახტო ქალაქებსა და სადაც განსაკუთრებულ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ძლიერება. თითქმის ყველგან ამ დიდ ქალაქებში დაპატიმრებული არიან პარტიული და რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების და მათი პრესის ხელმძღვანელები, ან დაგებულია პოლიციური რეჟიმის რკინის ხლართები, რათა მათ სალტეებში მოამწყვდიონ პირველი განძრევისთანავე ყოველი საპროტესტო მოძრაობა, ყოველი დემონსტრაცია და კრებები ავაზაკური ომის წინააღმდეგ. და ყოველგვარ ასეთ ზომებს მსოფლიო ბურჟუაზია და მისი ნაფიცი და „მოხალისე“ იდეოლოგები წინ უმძღვარებენ ჯორებს, მილიონებს გაზეთის ეკზემპლიარებით გავრცელებულს, იმის შესახებ, თითქოს, კომუნისტური ინტერნაციონალის საიდუმლო ინსტრუქციების თანახმად, დღეს მოეწყობა „შეთქმულთა“ შეიარაღებული აჯანყება, რომელშიც სამოქალაქო ელემენტებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ კომუნისტების გაფლენის ქვეშ მყოფმა სამხედრო ნაწილებმაც. თავიანთი თადარიგის ასეთი „იდეური“ „გაშუქება“ იმიტომ დასჭირდა ევროპის გაბატონებულ კლასებს, რომ ფულუბრყვილო მეშრანურ მასებში მათ გაამართლონ სრულიად არა იდეური ხასიათის ზომები, რომელთა შედეგად გაუქმებული აღმოჩნდა ისეთიც მშვე „კონსტიტუციური გარანტიები“ და პარტიული და რევოლიუციონური პროფორგანიზაციების ხელმძღვანელი შტაბები ნაწილობრივ ან ბევრგან მთლიანად „გადასხლებული“ შეიქნენ „არც იმდენად შორ ადგილებში“ ე. ი. პოლიციური სახელმწიფოების კლიტულ ჯურღმულებში.

ასეთი გააფთრებით ებრძვის ბურჟუაზია კომინტერნის მიერ დანიშნულ დღევანდელ „წითელ დღეს“.

მაგრამ **სრული სიმშვიდით** ეგებება ის სოციალ - იმპერიალისტების მიერ თვალთმაქცურად ვითომდა ომის წინაღამდეგ საპროტესტოთ დანიშნულ 4 აგვისტოს. ამ დღისა და მისი ინიციატორების, ბურჟუაზიული „მუშათა პარტიების“ წინაღამდეგ არ გაისმის დღეს ის კბილთა ღრჭენა და იარაღის ჟღარუნი, რომელითაც უმასპინძლდება ევროპისა და ამერიკის კაპიტალი „წითელი დღის“ მომწყობ რევოლიუციონურ პროფესიონალურ ორგანიზაციასა და კომინტერნის სექციებს. ბურჟუაზიას კარგად აქვს შეგნებული სოციალ-ფაშისტების როლი მომდინარე პერიოდში. კიდევ მეტი, ეს როლი ნაკარნახავი და მიკუთვნებული აქვს მათ სწორედ ამ გაბატონებულ კლასების მიერ. ყველა ჯურის შარლატნებთან ერთად, რომლებსაც პაციფისტებს უძახიან, ყველა იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომელსაც (როგორც, მაგალითად, აგრეთ წოდებული ერთა ლიგა ბრძანდება) დაკალებული აქვთ ვითომდა ომის საწინააღმდეგო ლაყბობით და პაციფისტური ლოგეთი დაფარონ იმპერიალისტების გაშმაგებული მზადება ხოცვა-ყლეტისათვის, სოციალისტებიც მოწოდებული არიან, მუშათა კლასში დაფარონ ჭეშმარიტი ზრახვები იმპერიალისტური ყაჩაღებისა და ამით ხელი შეუწყონ ამ ყაჩაღებისადმი მშრომელთა კანონიერ უნდობლობის, მათ სიფხიზლის მოდუნებას, რომ ამნაირად განაიარაღონ ისინი იდეურ-პოლიტიკურად და ფაქტიურად ხელფეხ გაბაწრული ჩაბარონ სამხედრო შტაბებს ზარბაზნების ლუკმად.

ბურჟუაზიას აქვს სრული საფუძველი დამშვიდებული გულით და ღიმილით უცქიროს იმ თვალთმაქცობას, რომელსაც სჩადიან სოციალისტები ვითომდა ომის წინაღამდეგ „საპროტესტო“ „გამოსვლებით“ და კმაყოფილი იყვნენ, თუ როგორ ცდილობენ ისინი თავიანთი ბატონების დავალებათა განაღუბას ხალხის მოსატყუებლად და მის შეცდომაში შესაყვანად ავაზაკების ნამდვილი ზრახვების შესახებ. ბურჟუაზიას შეუძლია კმაყოფილებას მიეცეს იმ სოციალისტების მოხერხებული „ოპოზიციის“ გამო ვითომდა იმპერიალისტური ომის წინაღამდეგ, რომლებიც ტაშს უკრავენ თავიანთ მთავრობებს კოლონიალური ომების წარმოების დროს, აძლევენ მათ კredიტებს, ეხმარებიან სამხედრო შტაბებს და უწყებებს ისეთი კანონების შედგენაში და გატარებაში, რომლებიც საშვალებას აძლევს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას დაეპატრონოს მთელი ხალხის სულს, ხორცსა და ქონებას, არ დაინდოს არც ქალი, არც მამაკაცი, არც პატარა, არც დიდი, ერთი სიტყვით არ დაინდოს არავინ „აკვნიდან სიკვდილის კარებამდე“, როგორც ფრანგი კომუნისტები ამბობენ. ბურჟუაზიას შეუძლია დამშვიდებით უცქიროს თავის სოციალისტებს, იქნებიან ისინი მთავრობის სათავეში (გერმანია, ინგლისი) თუ კეთილისმსურველ ლოიალურ ოპოზიციაში, ოპოზიციაში მხოლოდ სიტყვით, ხალხის მოსატყუებლად (საფრანგეთი), იმიტომ რომ მათი მეთაურობით იარაღს ისხმს, ჯავშანში იქედება ბურჟუაზიული სახელმწიფო (გერმანიის ჯავშნოსანები) და ძლიერდება საზღვაო-სამხედრო შიიარაღება (ინგლისი). და ასეთი ნდობით უყურებენ მათ გაბატონებული კლასები არა მარტო იმიტომ, რომ სოციალ-ფაშიზმი წარმოადგენს მთელი დღევანდელი კაპიტალისტური სისტემის ერთ-ერთ უძლიერეს ნაწილს და დასაყრდენს, არამედ ეს ნდობა მოიპოვა მან წარსულ იმპერიალისტური ომის დროს: ის არის მეგობარი, ხაკადი ბრძოლის ფრონტებზე, გარდა ამისა ის ბურჟუაზიის მოკავშირეა სამოქალაქო ომის ეპიზოდებში და სოციალურ კონფლიქტების დროს, რომლებითაც მდიდარია ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიული სინამდვილე.

სოციალ-იმპერიალისტები მუშაობენ თავიანთ ბურჟუაზიასთან ერთად ომისათვის, იდეურად და ორგანიზაციულად ეხმარებიან მას ამ ომის მომზადებაში საბჭოთა კავშირის წინაღამდეგ, რომელსაც ისინი ებრძვიან ხშირად უფრო მეტი გაფფთრებით, ვინემ ბურჟუაზია და მისი ოფიციალური იდეოლოგები და პოლიტიკოსები, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა და ყველასათვის აშკარა გახდა იმ აღვირწყვარდნილი კამპანიის დროს, რომელსაც ეს უბადრუკი ხალხი აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნანკინის მილიტარისტების ყაჩაღური გამოსვლებთან დაკავშირებით. ყოველივე ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია იმპერიალისტური მთავრობების დამოკიდებულება იმ „დღისადმი“, რომლის მოწყობა განძრახული აქვთ ყველა ქვეყნის მეზშეკიკებს ოთხი აგვისტოსათვის.

ჩვენ ვხედავთ ამნაირად, რომ ერთად ერთი აქტიური მებრძოლი ძალა იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ არის კომუნისტური ინტერნაციონალი და ის რევოლიუციონური პროლეტარიატი და კოლონიალური ხალხები, რომლებზეც გრძელდება მისი გავლენა და ხელმძღვანელობა. აქედან ბრძოლა სოციალ-დემოკრატების მიმდევარ მუშების დასაპყრობად და სოციალ - ფაშიზმის ნამდვილი ზრახვების გამოსაკარავებლად არის ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ამოცანა კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებისა ყველა ქვეყნებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამასთან დაკავშირებით იმ „მემარცხენეების“ (სოციალ-ფაშისტურ პარტიებში) გამოაშკარავებასა და თაღლითობის გამოშზეურებას, რომლებიც ვითომდა თავიანთი „მემარცხენე“ სიტყვებით ბურუსში ახვევენ თავიანთი პარტიების ნამდვილ ბუნებასა და მიზნებს. და არსებითად იგივე ითქმის დაბოლოს იმ მემარჯვენეებზე, „მემარცხენეებზე“ და შემარიგებლებზე თვით კომუნისტურ პარტიებშიც, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენენ ნატეხს სოციალ - დემოკრატებისას, ობიექტიურად აკეთებენ მათ ვერაგულ საქმეს, როდესაც, როგორც პირველები, უკავშირებენან მათ, ან, როგორც მეორენი, გაჰკიდან კომუნისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების „გადაგვარებაზე“.

ჩვენმა მკითხველებმა იცეან, რომ თავიანთ საგანგებო და განსაკუთრებით საორგანიზაციო მუშაობას „წითელი დღის“ მოსამზადებად ჩვენი ძმური პარტიები აწარმოებენ ნახევრად არალეგალურად. აქედან ცხადია რა სიძნელეებთან ექნებათ საქმე მათ, ომის გამოცხადების წინა დღეებში და მის დროს, როდესაც ბურჟუაზია გადასდგამს ამ ნაბიჯს. წითელი დღისათვის მზადება და მისი ჩატარება დღეს, პირველ აგვისტოს, როდესაც, ბურჟუაზიის მიერ მიღებული ზომების გამო, მოსალოდნელია სისხლისმღვრელი შეტაკებები, წარმოადგენს უდიდეს გამოცდილების მიღებას, რომელიც უალრესი მნიშვნელობის იქნება ომის შემთხვევაში. ეს გამოცდილება დაეხმარება მათ მომავალ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად იმპერიალისტების წინააღმდეგ.

„წითელი დღე“ ერთი ეპიზოდია მსოფლიო რევოლიუციონური ძალების სამზადისში მომავალი ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ. ეს მზადება უნდა გაგრძელდეს და გაგრძელდება ბოლამდე. „წითელი დღე“ დაგვანახებს ჩვენ სუსტ ადგილებსა და ნაკლოვანებებს ამ სფეროში. კიდევ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ამ მზადებას გამოხატავს ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ძალების მობილიზაციასა და მთელი ენერგიის გაშლაში, რათა ჩქარი ტეპით გასწიოს წინ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური მშენებლობის გაძლიერების გზით, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების საწინდარს მთელს მსოფლიოში.

ამიტომ მთელი ამ ძალების გაშლა და გატარება პარტიისა და ხელისუფლების გენერალური გეგმისა—აი რაზე უნდა იზრუნოს საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასამ. და ამ დიდ ისტორიულ მისიას შეასრულებს ის ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად, მიუხედავად სოციალ - გამყიდველთა ვერაგობისა და მემარჯვენე და „მემარცხენე“ ლიკვიდატორების უიმედობისა და ჩაცვილისა.

## გაუმარჯოს წითელ არმიას

## მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებულ ძალას!

## 1929 წლის პირველი აგვისტო--საერთაშორისო „წითელი დღე“-ა

ეს **ბრძოლის დღეა** საერთაშორისო პროლეტარიატისა და იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული-გაყვლეფილი კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური უამრავი ხალხებისა. ის დანიშნულია გასულ წელს კომინტერნის მეექვსე კონგრესის მიერ, როგორც მეხუთმეტე წლის თავი მშრომელი კაცობრიობის დამანგრეველი პირველი იმპერიალისტური ომისა (1914—1918 წ.) და ახალ ომების საშიშროების წინაღამდეგ მასიური საპროტესტოთ, სადემონსტრაციოთ.

ამ **საშიშროების, ე. ი. ახალი** იმპერიალისტური ომისა და განსაკუთრებით **იმპერიალისტების შეიწყვეტელი მზადების შესახებ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის — სსრკ-ის** წინაღამდეგ ამავე კონგრესმა საკმაოდ დასაბუთებული დიდი მოხსენება მოისმინა ინგლისელ დელეგატისა—ამხ. **ბელლისა.**

ამხანაგ ბელლმა გაუკეთა ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას და დაასკვნა, რომ ომი **აუცილებელია** როგორც თვით იმპერიალისტებს შორის, ისე იმპერიალისტების მიერ საბჭოთა ქვეყნის წინაღმდეგ, თუ საერთაშორისო **მებრძოლი პროლეტარიატი** და მოწონავე **რაზმები** გარეგლიუციონერებულ კოლონიალურ ხალხებისა, **კომინტერნის** ხელმძღვანელობით, ახლავე წინ არ აღუდგებიან მას და არ გამოიწვევენ მასიური აღშფოთებას და პროტესტს მთელ **მშრომელ კაცობრიობის საზოგადოებრიობაში.**

აი, კომინტერნის მე-VI კონგრესის ამ დადგენილების აღსასრულელად, მისი სექციები,—კომპარტიები გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, ამერიკისა, ჩეხო-სლოვაკიისა და მრავალ სხვათა, პროფკავშირებთან და სხვა მუშურ-გლეხურ მოწონავე რაზმებთან ერთად ემზადებოდენ ამ **„წითელ დღისათვის“.**

ამ მზადებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და დღეს უკვე მთელ დედამიწის ზურგზე გაისმის იმპერიალიზმის წინაღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად დარაზმულ მშრომელთა მედგარი ხმა.

ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტიაც (ბოლშევიკებისა), როგორც საუკეთესო მოწინავე რაზმი კომინტერნისა, მოუწოდებს საბჭოთა ქვეყნის ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა მასიურ ორგანიზაციებს, აღნიშნონ ეს **„წითელი დღე“** ჩვენს წითელ პროლეტარულ-კომუნისტურ სახელმწიფოში—სსრკ-ში,—სოფლად და ქალაქად ერთგვარად, მასიური დემონსტრაციებით,—კრებებით—კაპიტალისტური ქვეყნების **კოლონიალურ, ნახევრად-კოლონიალურ** ხალხთა და მებრძოლ საერთაშორისო პროლეტარიატის სრული თანაგრძნობით და **გამოვიდნენ რევოლიუციონური ლოზუნგებით ყოველგვარი კაპიტალისტური ომის წინააღმდეგ და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების მოსაახლოებლად...**

**გაუმარჯოს 1929 წლის „წითელ პირველ აგვისტოს“.**

**გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ შენებლობას!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლას ომის წინააღმდეგ და მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლებისათვის!**

**გაუმარჯოს იმპერიალისტებისა და „თავიანთი“ ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ მებრძოლ ჩინელებს, ინდოელებს, ინდონეზიელებს, ეგვიპტელებს, სირიელებს, ნიკარაგუელებს, მაროკოელებს, ზანგებს და მრავალ სხვა დაჩაგრულ მშრომელ ხალხების—ერების განმანთავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმ . კაპიტალიზმისაგან!**

**ძირს უკვე ძირ-მომპალი კაპიტალიზმი და გამხეცებული, გაგიჟებული, ველური იმპერიალისტები!**

**ძირს მათი ომები!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურას — მუდამ მარქსისტულ-ლენინურ კომინტერნის ხელმძღვანელობით!**

სრ. საქ. ცაკის თავმჯდომარე
**მ. ცხაკაია.**

## ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელს

### საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოწოდება

ამხანაგებო!

15 წლის წინად, იმპერიალისტური მთავრობის ბრძანებით, რამდენიმე მილიონ მუშამ და გლეხმა ერთმანეთს ყლეტა-ხოცვა დაუწყეს.

4 წლის განმავლობაში მთელი ქვეყანა სცურავდა კაპიტალისტებისა და მემამულეების ინტერესებისათვის დაღვრილ სისხლში.

1914—18 წლების იმპერიალისტურმა ომმა და ვერსალის ზავმა, რომელთაც ეს ომი დამთავრდა, არა თუ გადასჭრეს ძველი კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, არამედ წარმოშვეს ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, წინააღმდეგობანი, რომელნიც კაცობრობას გარდუვალი აუცილებლობით მიაქანებენ ახალი ომისაკენ. ზღაპრული ხისწრაფით იზრდება ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის, პოლონეთის შეიარაღება, რომელიც დიდათ აჭარბებს ომის წინ მიღწეულ რეკორდებს.

მზადდება ახალი, უფრო საშინელი ყლეტა-ხოცვა, რომელიც ზარაბაზნის ხორცად შეიწირავს მრავალ მილიონ მუშასა და გლეხს. მსოფლიო მეცნიერება, იმპერიალისტური ბატონობის ბრძანებით, ამყამად მუშაობს ისეთი გამანადგურებელი იარაღის გამოგონებაზე, რომელთა შედარებითაც ბაუშვის გასართობ სათამაშოდ გამოჩნდებიან 1914—18 წლის ზარაბაზნები, ტანკები და მარჩხალი გაზები.

მსოფლიო კაპიტალი, ამსხვრევს ერთ ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებს, რომელიც მებრძოლი იმპერიალიზმის თავისუფალ მოქმედებას ზღუდავს, ამაგრებს და ამტკიცებს უშუალო ძალადაბანდა და ძალმომრეობის, დაუნდობელი ანგარიშის გასწორებისა ფაშისტურ მთავრობებს ამ მიზნით, თან წინასწარ ხელები გაუნთავისუფლოს მოსახლეობაზე ომის მოსამზადებლ. მსოფლიო მტაცებლები ემზადებიან ომისთვის არა მარტო ერთი მეორის წინააღმდეგ; პირველ ყოვლისა ისინი ემზადებიან საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ.

ოჭტომბრის რევოლიუციის ცეცხლში დაბადებული ჩვენი ქვეყანა, რომელიც ანნორმალიზებულ ყველა ქვეყნის მშრომელთა უდიდეს ოცნებაა—კომუნიზმს, წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალის უალრესი კლასობრივი სიძულვილის საგანს.

ისეთი მოვლენები, (რომელთაც გამოიწვიეს ყველა ქვეყნის მშრომელთა აღშფოთება), როგორიც არის ქართველ მეშვეიკებთან დამეგობრებული პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული აქტი, ან ეხლა ხან ჩინელ გენერლების მიერ მოწყობილი თავდასხმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, წარმოადგენენ იმ ჯაჭვის ცალკე რგოლებს, რომელსაც ეწოდება მზადება მსოფლიო იმპერიალისტური გალაშკრებისათვის პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ.

ახალი იმპერიალისტური ომების და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოსამზადებელ მუშაობაში საერთაშორისო იმპერიალიზმს ერთგული მოკავშირედ ჰყავს მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატები — ფაშიზმის აშკარად დამცველნი. განსაკუთრებით სამარცხვინოა როლი მემარცხენე სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ცრუ-პაციფისტური ფრაზებით აბრუებს მუშათა კლასის მეგნებას.

საერთაშორისო მენშევიკებთან ერთად იმპერიალისტის ერთგული ქოფაკებად გამოდიან ამიერ-კავკასიის მშრომელთა მოსახსნელ მტრები, აქედან გაძევებული დაშნაკები, მუსავატელები და ქართველი მენშევიკები.

რევოლიუციის ამ გაშმაგებულ გამეცდელებს უკანასკნელ ხანებში მიემატა კონტრრევოლიუციონური ტროცკიზმიც, რომელმაც საბოლოოდ დაჭკარგა რევოლიუციონური სინდისი ინგლისისა და ამერიკის შავრაზმელ-ბურჟუაზიული გაზეთების დერეფნებში.

მომავალი ომში, რომელსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამზადებენ მსოფლიო იმპერიალისტები და მათი სოციალისტური ლაქაები, საბჭოთა ამიერ-კავკასიის უნდა ითამაშოს თვალსაჩინო როლი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის საზღვარზე მდებარეობენ. კოლონიალურ აღმოსავლეთის ერებთან დაკავშირებული ამიერ-კავკასია განუწყვეტელ მუქარას და რისხვას წარმოადგენს იმპერიალიზმის კოლონიალური ბატონობისათვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მდიდარნი არიან ნავთით, შაგი ქვით და მრავალი სხვა ძვირფასი მადნეულით... ისინი გემრიელ ლუკმას წარმოადგენენ იმპერიალიზმისათვის.

აქედან აშკარაა, თუ რამდენად დიდია დასაბუთებისმგებელი ის ამოცანები, რომელნიც გაწეულ კისერზე თქვენ, ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო.

განამტკიცეთ სოფლისა და ქალაქის კავშირი!

ასწიეთ სოციალისტური ინდუსტრია!

აშენეთ სოციალისტური სოფელი! მოაწყვეთ კოლმეურნეობანი!

გაამაგრეთ წითელი არმია, განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა!

იყავით ფხიზლად საგუშაგოზე!

თქვენს ძალ-ღონეზე, თქვენს შეუდრეკლობაზე, თქვენს გამძლეობაზე დიდათ არის დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება.

დღეს, პირველ აგვისტოს, საერთაშორისო წითელ დღეს, საბჭოთა კავშირის მშრომელნი გამოვლენ დემონსტრაციათ ომის, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ლოზუნგები: „ომი იმპერიალისტურ ომს“, „მუშათა მთლიანი ფრონტი შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ“, „ამხილეთ სოციალ-პატრიოტების სიცრუე“, „დაიცავით საბჭოთა კავშირი“,—ამ ლოზუნგებით გამოვა პირველ აგვისტოს სოფლისა და ქალაქის ქუჩებში საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად ყველა ქვეყნის მუშა და გლეხი.

ბურჟუაზია თავზარდაცემულია პირველი აგვისტოს მოლოდინში. იგი თავს უყრის ჯარსა და პოლიციას, არბევს კომუნისტურ ორგანიზაციებს, სურს ამით თავი მოჰკვეთოს მუშათა მოძრაობას, რადგან მათ კარგათ იციან, რომ ეგზისტენციალური ზეგანლოდინი ფაშისტურ მთავრობებს ოთხეულ დღეს მსოფლიოს მშრომელნი გამოვლენ დემონსტრაციით იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგ, სადაც იტანჯებიან კომუნიზმისადმი მეგზრძოლნი, გამოვლენ საბჭოთა კავშირზე გალაშკრების წინააღმდეგ, გამოვლენ მსოფლიო ოჭტომბრის დასაცავად.

ამიერ-კავკასიის მუშებო და გლეხებო!

თქვენ განიცადეთ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლები, მეზშეკიკების, დაშნაკების, მუსავატელების ძალმომრეობის მძიმე წლები.

რამდენიმე წელიწადია ვაშენებთ ამიერ-კავკასიის ფეოდალიცის დიდ შენობას, ხალხთა ძმურ თანამშრომლობაზე დაფუძნებულს, ვაშენებთ სოციალისტურ მეურნეობათა კულტურას ამიერ-კავკასიაში, რომელიც განადგურებული იყო სამოქალაქო ომით, ინტერვენციით, **ეროვნული შუღლითა და ხოცვა-ყლეტით.**

ჩვენ ვიცავთ მშვიდობიანობას!

მსოფლიოში საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ნამდვილად სწადია მშვიდობიანობა, რომელსაც ნამდვილად ეხმეროება მშვიდობიანობა. და თუმცა მსოფლიო კაპიტალს სწადია ჩაშლოს, და ადრე თუ გვიან ჩაშლის კიდეც ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენ მაინც მტკიცედ და ამდენად ვეგებებით მომავალ დღეს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ომის ცეცხლის დამოებნა—მსოფლიო კაპიტალისტები—შეხვდებიან მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა რკინის ფრონტს, რომლის წინააღმდეგაც უძლურნი აღმოჩნდებიან იმპერიალისტური ზარაზანნები.

გაერთიანდით საბჭოთა კავშირის მშრომელთა ბელადის—კომუნისტური პარტიის გარშემო!

გაერთიანდით მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის, ჩაგრულ ეროვნებათა ბელადის—კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო!

შეებრძოლეთ სასოწარკვეთილებას, გამარჯვებაში დაეჭვიანებულებს და მერყევს ელემენტებს. გამარჯვებისათვის საჭიროა რკინის დისციპლინა, რკინის ნებისყოფა.

ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი!

ომი იმპერიალისტურ ომს!

გაუმარჯოს ა. კ. ს. ფ. ს. რ. სოციალისტურ მშენებლობას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო ოჭტომბერს!

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

## უკანასკნელი ცნობები

### 1-ლ აგვისტოს წინ

**მოწოდება მსოფლიოს ყველა მუშებს და გლეხებს**

**პარიზი,** 31 ივლისი. „ლუმანიტე“ აქვეყნებს პროფინტერნის მოწოდებას მთელი მსოფლიოს ყველა მუშებისა და გლეხებისადმი და ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ჩინეთის, იაპონიის და ჰოლანდიის კომპარტიების საერთო მანიფესტს, და აგრეთვე ბალკანეთის კომპარტიების ფედერაციის და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდებას. ყველი ეს ორგანიზაციები მოუხმობენ მუშებს გამართონ დემონსტრაციები იმპერიალისტური ომის წინაღმდეგ—საბჭოთა კავშირის დასაცავად. პარიზის რაიონის და სხვა სამრეწველო ცენტრების ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა მასები გაცხოველებით ემზადებიან წითელ დღისათვის. მოძრაობა ფართოვდება პროვინციაშიც. ბორდოს დოკერების უნიტარული პროფკავშირი, წინაღამდეგ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესის მტკიცებისა, თითქოს დოკერებსა უარი სთქვეს დემონსტრაციებში მონაწილეობაზე, აცხადებენ, რომ ბორდოს რევოლიუციონური დოკერები გაჭკვეებიან პროფინტერნის და შრომის უნიტარულ კონფედერაციის მოწოდებას. (ადს)

**სოციალ-დემოკრატების უფედეგო მიბინები**

**ტოკიო,** 31 ივლისი. იმპერიალისტური ომის დაწყებიდან 15 წლისთავის შესრულების გამო შეხდა ორი სოციალ-დემოკრატიული მიტინგი. ორივე მიტინგს სულ დაესწრო 1000-დე კაცი. ერთ-ერთ მიტინგზე დამსწრენი იტაცებდნენ 1 აგვისტოს დღისთვის კომპარტიის მიერ გამოშვებულ კომუნისტურ ლიტერატურას და ფეტინგს. სოციალ-დემოკრატიულმა ლიდერებმა ენგზრგმა და განსაკუთრებით ხეგალშვრეს საბჭოთა კავშირის სიტყვებში გაილაშქრეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„თავის თავად იგულისხმება,—სთქვა ცერგბელმა,—რომ, თუ შეტაკებას ექნა ადგილი, პოლიციი ენერგიულად ამოქმედებს. ჩვენ არ მოვეერიდებით გაკიცხვას. ჩვენის მხრივ ეუჩაშმა მოსიარულეთ უურჩევთ მოერიდონ დემონსტრაციას“ (ადს).

**ანტისაბჭოთა გამოსვლა**

**ბერლინი,** 31 ივლისი. ცოფრიხის სოციალ-დემოკრატებმა გამართეს კრება, რომელზედაც ოტტო ბაუერმა (ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერი) წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო სიტყვა. ცოფრიხში ო

# მსოფლიო პროლეტარიატი ომის საფრთხის წინააღმდეგ

## მუშათა მასიური დემონსტრაცია პარიზში, ლონდონში და ევროპა სხვა ქალაქში

### ამხ. დოვგალევსკის მოლაპარაკება ჰენდერსონთან

## გრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ

**დემონსტრაცია ლონდონში**

**ლონდონი**, 30 ივლისი. კვირას ლონდონში, ტრაფალგარსკვერში, გაიმართა დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ 5000 მუშის მონაწილეობით. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ მაკდონალდის მთავრობის იმპერიალისტურ ხასიათს და მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ.

ომამ ბელგია თავის სიტყვაში, სსცათი შორის, განაცხადა: საუკეთესო საშუალებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ წარმოადგენს სოციალური რევოლუციაა. მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ ჩინეთის დიპლომატიური მისიის შენობისაკენ. დემონსტრანტები გიიბსტოდნენ: „ეძრს ჩინეთი გენერლების იმპერიალიზმი!“ მსვლელობის დროს დემონსტრანტებს თავს დაესხა ცხენოსანი პოლიცია. ბევრი დემონსტრანტები დაშავდა. კომკავშირის ერთი ხელმძღვანელი ბენ სმიტი დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს „სამკურნალოდ“, რადგან იგი ძალიან დაესახიჩრა ცხენოსანმა პოლიციამ. (ადს).

**საერთაშორისო დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ აახენში**

**ბერლინი**, 30 ივლისი. აახენში გაიმართა საერთაშორისო დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 10.000 გერმანელმა, ფრანგმა, ბოლანდიელმა, ბელგიელმა და ლიუქსემბურგელმა მუშამ. დემონსტრანტების მსვლელობამ ქალაქში რამდენსაც საათს გასტანა. დემონსტრანტებს თან მიჰქონდათ წითელი დროშები და პლაკატები რეფოლუციონური წარწერებით. მსვლელობის შემდეგ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მიტინგი.

მიტინგის შემდეგ დიდის აღფრთოვანებებით ხლებოდა ხუთი ქვეყნის მუშათა წარმომადგენლების დამშობილება.

მიტინგმა დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუწაენოს საბჭოთა კავშირის მუშებს. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ყველა მშრომელს მოუწოდებს ებრძოლონ იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ.

აააბენში გამართულ დემონსტრაციაზე მრავალი ფრანგი, ბელგიელი, ჰოლანდიელი და გერმანელი ჯარაუში ფუსფუსებდა. კელნის პოლიციი-პრეზიდენტმა, ოლენდორფმა ბაუკენხმა, ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლების თანხმობით, აახენში გაგზავნა დამატებითი რაზმი 800 პოლიციელის შემადგენლობით.

იმ მუშებიდან, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ საფრანგეთის დელეგაციაში, ჩამოვიდა მხოლოდ ნებადერი: დანრრენები და ალატიმრეს საფრანგეთში, ნაწილი კი საფრანგეთის ხელისუფლებამ არ გადაუშვა საზღვარზე. (ადს).

**ოტობი საერთაშორისო ფასიური მი. ტინგი**

**ბერლინი**, 30 ივლისი. კვირას ესენში, ბოხუმში, ბელზენკირხენში და გლადბეკში (რურის ოლქი) გაიმართა ოთხი საერთაშორისო მასიური საპროტესტო მტინგი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მიტინგზე მრავალი მუშა მიიზიდა. უცხოელი კომუნისტების გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პოლიციე-პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა დორტმუნდ ლიუბერიგმა აკრძალა ამას წინად დაარსებული მუშათა თავდაცვის ანტიფაშისტური ორგანიზაცია „რუფაბტ“-ი იმ საბაბით, თითქოს იგი წარმოადგენს „დაშლილ წითელ ფრონტელთა კავშირის არალეგალურ გაგრძელებას“. ამიტომ პოლიციამ დოორტმუნდში იერიში მიიტანა „რურუბტ“-ის რაზმების წინააღმდეგ, რომლებიც საპროტესტო მიტინგზე მიდიოდნენ. პოლიციელები არ ინდობდნენ ორკესტრებსაც კი და განსაკუთრებით სდევნიდნენ მეფორშეებს. „რურუბტ“-ის რაზმების მხურვალედ ესალმებოდა მუშათა მოსახლეობა, რაც აძლიერებდა პოლიციის გაოფორებას. (ადს).

**რეფორმისტები ცდილობენ ფითელი დღის ჩაშლას**

**პარიზი**, 30 ივლისი. რეფორმისტულ „პროფკავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ წითელი დღის ჩასაშლელად. ეიერნლიის დეპარტამენტის რეფორმისტებმა გამოსცეს მოწოდება მუშებისადმი; ურჩეგენ მათ—არ მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციებში და „ბაბდელი წინააღმდეგობა გაუწიონ მუშობის შეწყვეტას 1 აგვისტოს“.

„მატენ“-ის ცენტრი, შრომის რეფორმისტულმა კონფერენციამ დაადგინა—წინააღდეგება მისცეს თავის მომხრე პროფკავშირებს „არ მიეკითხონ ყურადღება მოსაოფიდან მობაკად ფანდებს“ და არ შესწყვიტონ მუშობა 1 აგვისტოს.

სხვის დეპარტამენტის პრეფექტმა გაუფრთხილა მოწერილობა დაწესებულებათა აღმინისტრაციას, რათა მათ დისციპლინარული სასჯელი მოუზღონ ყველა იმ მოსამსახურისა, ვინც, რომელიც 1 აგვისტოს შესწყვეტს მუშობას (ადს).

**გერმანელი მუშების დემონსტრაცია ბელგიის საზღვარზე**

**პარიზი**, 30 ივლისი. როგორც ბელგიური გაზეთი „ლიბრ ბელჟიკა“-ი იუწყება, საგიაციო დღესასწაულის დროს ვერვიეში (ბელგია) გამოწვეულ იქნენ, ქალაქ ვერვიეს და სპოს ეინდარმები. ეინდარმები გაგზავნეს საზღვარზე, რათა არ გადმოეშვათ 600 გერმანელი მუშა-კომუნისტი, რომლებიც სცდილობდნენ გადასულიყვნენ საზღვარზე დემონსტრაციის მოსაწყობად ბელგიის ტერიტორიაზე. დემონსტრანტები უკან გააბრუნეს (ადს).

# ამხ. დოვგალევსკის საუბარი ჰენდერსონთან

**ლონდონი**, 30 ივლისი, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰენდერსონთან დოვგალევსკის საუბარის შესახებ გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„დღეს, ნაშუადღეს ჰენდერსონმა საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიღო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარიზაში დოვგალევსკი. საუბარმა ერთ საათს გასტანა. აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლის საგანს შეადგენდა ეხლანდელი ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჰენდერსონმა და დოვგალევსკიმ ერთმანეთს გაიცნეს თავიანთი მთავრობების შეხედულებანი. დოვგალევსკიმ ჰენდერსონს განუცხადა, რომ მან თავის მთავრობას გაუკეთა მოხსენება და იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებას განაახლებს ხვალ ან ოთხშაბათს“.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს დოვგალევსკიმ განაცხადა, რომ იგი ამჟამად ვერაფერს დაუმატებს ოფიციალურ ცნობას (ადს).

„ივნინს სტანდარტ“-ი ჰენდერსონისა და დოვგალევსკის საუბრის შესახებ

**ლონდონი**, 30 ივლისი. „ივნინგ სტანდარტ“-ი, ეხება რა დოვგალევსკის შეხვედრას ჰენდერსონთან, წერს:

„ბოლშევიკები ყოველთვის ამხილებენ კაპიტალიზმს, ინგლისსა. ახლე ინგლისელებიც არ აიღებენ ხელს კომუნისტმა ბოლშევიზმზე, დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან მოითხოვს უბრალო გონიერება, მაგრამ არავითარი აზრი არა აქვს დიპლომატიურ გარანტიებს პროპაგანდის საკითხში“ (ადს).

# ბრიანი განაგრძობს პუანკარეს პოლიტიკას

### „ლიუმანიტე“ ახალი მთავრობის შესახებ

**პარიზი**, 30 ივლისი. ბრიანის მიერ ძველი კაბინეტის შემადგენლობის უცვლელად დატოვება იმით აიხსნება, რომ ეერ მოხერხდა რადიკალებთან შეთანხმება. ბრიანმა რადიკალებს წინადადება მისცა—შესულიყვნენ მთავრობაში როგორც უპორტფელო მინისტრები. რადიკალები კი მოითხოვდნენ ზოგიერთი მინისტრის თანამდებობის, სხვათა შორის ნენადან საქმეთა მინისტრის თანამდებობას. ამავე დროს მემარჯვენეები დაეჭიდებით მოითხოვდნენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტერად ისევ ტარიე დარჩესო.

მემარჯვენე პრესა, რომელიც წინად ძალზე აკიცხავდა ბრიანის მოლიტიკას, ეხლა სიხარულით ეგებება ახალ კაბინეტს.

„ლიუმანიტე“ სწერს:

ბიფარნგეთის საგარეო პოლიტიკა წინანდელივარად ეცდება საფრანგეთის კაფრნის გამტკიცებას ბალკანეთთან და აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნებთან იმ მიზნით, რომ ებრძოლოს იტალიას და საბჭოთა კავშირს; ეცდება ჩათიოოს გერმანია ანტა-საბჭოთა ბლოკში, სამგაიროდ წავიდეს დათმობებზე რეინის ოლქის საკითხში; შემდეგ განაგრძობს ინგლისურ-ამერიკულ ანტანტის განმტკიცებას ... ამ მიზნით, რომ ებრძოლოს კოლონიალურ აჯანყებებს და საბჭოთა კავშირს; დასასრულ, უფრო მეტიდრო ჩაიბმს სოციალისტებს ამ მიზნების განხორციელებაში“ (ადს).

# ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება

### საზღვაო განიარაღების შესახებ

**ლონდონი**, 30 ივლისი. მაკდონალდის ბინაზე მოხდა ახალი თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საზღვაო მინისტრმა ალექსანდერმა, ამერიკის ლონდონელმა ელჩმა დაუფსმა და ამერიკის ბრიუსელიდმა ელჩმა გიბსონმა ამბობენ თათბირზე დიდ წარმატებას მიაღწიეს იმ ხელშეკრულების მომზადების საქმეში, რომელიც უნდა დაიდოს ინგლის-ამერიკის შორის საზღვაო განიარაღების შესახებ. (ადს).

# სადათიერაშვილი კვლავ დაპატიმრეს

**ბერლინი**, 30 ივლისი პროკურატურის სანაჩვრის გამო სასამართლოს მეორე ინსტანციამ გაიუქმა ოფენის სასამართლოს დადგენილება ყალბი ჩერვონეცების დამაზადებელ სადათიერაშვილის პატიმრობიდან გასვლისუფლების შესახებ. ბრძანება სადათიერაშვილის დაპატიმრების შესახებ კვლავ ძალაში შევიდა. (ადს).

(დეპეშების გაბრძელება იხ. მე-3 გვ.)

# ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

**საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ბერძენეთი უარ-ჰყოფს ესალ ცნობებს**

**ბერლინი**, 30 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ (ბერლინიში) დაადგინენი უარყოფა ამ ცნობებისა, რომელებიც უკანასკნელი კვირის განმავლობაში სამჯერ გაგრცელდა და რომლებიც არსებითად ემყარებიან ჩინეთის მთავრობის ინფორმაციას. ცნობები ეხებიან იმ მოლაპარაკებას, რომელიც ვითომ ბერლინში სწარმოებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელსა და ჩინეთის ელჩს შორის.

ვაშინგტონიდან მიღებულ იქნა დამატებითი „შესწორება“, რომელიც ამტკიცებდა — ბერლინში მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ გადაიდგა სათანადო ნაბიჯებია. ამის გამო საბჭოთა წარმომადგენლობა იძულებული გაჩაჩუნდა, რომ ამ უკანასკნელ ცნობაშიაც, როგორც პირველ ორ ცნობაში, ერთი სიტყვაც არ არის მართალი (ადს).

**ადგილსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ეძებენ სახელმწიფოს კონტროლის დაწესებლის ზეგზეთი**

**ტოკიო**, 30 ივლისი. „ნიკი-ნიკი“ სწერს: ამერიკა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაწესდეს ე.ვ.ს. სახელმწიფოს (ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის და გერმანიის) წეიერთმეული კონტროლი.

მეორე ეერსით, კონტროლი უნდა განხორციელოს ვაშინგტონის შეთანხმების მონაწილე ოთხმა სახელმწიფომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მონაწილეობით.

ორივე ეერსით ფიქრობდა ამბობ, რომ ამერიკა, რომელიც თავის ცდებს ამყარებს კელოგის პაქტსა და ვაშინგტონის შეთანხმებაზე, ფიქრობს, რომ კონტროლის დაწესების საქმეში პირველ ნაბიჯს უნდა შეადგენდეს ზეგზეთი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს გზით ამერიკას სურს გაავრცელოს მანჯურიაზე თავის გავლენა.

გაზეთის სიტყვით, სიდეხარა თანაბმაა მონაწილეობა მიიღოს კონტროლში, მაგრამ წინააღმდეგია ინტერვენციისა, და განაგრძოს სიფრთხილის პოლიტიკას, თუმცა ამავე დროს მზადაა გადასცდას დამოუკიდებელი ნაბიჯებები, თუ ამის საჭიროება მოითხოვს. ამის გამო ამერიკის გეგმა ჯერ კიდევ არ არის განაღდებული. (ადს).

**მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე**

